# შპს ვჯეო რესტორნები

**ფინანსური ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

**საქმიანობის მიმოხილვა**
შპს „ვ-ჯეო რესტორნები“ (შემდგომში კომპანია) თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას (რეგ. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 20/07/2020 წელს).

შპს „ვ-ჯეო რესტორნები“-ს საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 (ასი) აშშ დოლარს.

საზოგადოების პარტნიორები არიან:

- ლევან ფხაკაძე - 50%;
- სამსონ ფხაკაძე - 50%

საზოგადოების მმართველობითი ორგანოებია პარტნიორთა კრება, დირექტორი.

კომპანიის საქმიანობის საგანს წარმოადგენს:
- სწრაფი კვების ობიექტების (რესტორნებისა და კაფეების) მშენებლობა, მათი თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით მოწყობა და შემდგომი ექსპლოატაცია;
- საკვები პროდუქტების წარმოება და მათი საცალო რეალიზაცია;
- მოძრავი ქონების იჯარით გაცემა.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ მოქმედ ობიექტებს:
1. ვენდი'ს გელოვანის გამზირი
2. ვენდი'ს გლდანის ხიდები;
3. ვენდი'ს მტკვრის მარჯვენა სანაპირო;
4. ვენდი'ს თბილისის აეროპორტი;
5. ვენდი'ს სითი მოლი;

2022 წლის ბოლოსთვის კომპანია ახორციელებდა ხუთი ერთეული საცალო კვების ობიექტის ოპერირებას. აქედან, ერთი რესტორანი არის კომპანიის საკუთრება, ხოლო ოთხი რესტორანი არის იჯარით აღებული მესამე მხარისგან.

2022 წელს დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა ვენჯორჯიაში შეადგენდა 12 თანამშრომელს, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 11 თანამშრომელს.

**განვითარების გეგმები**
კომპანიის განვითარების გეგმების მიხედვით 2023 წელს დაგეგმილი აქვს რამდენიმე ახალი რესტორნის გახსნა.

**საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**
კომპანიის საოპერაციო მოგება ცვეთის ხარჯისა და ნეტო საპროცენტო ხარჯის გათვალისწინების გარეშე 2022 წელს შეადგენდა 77 951 ლარს, ხოლო 2021 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა (88 436) ლარს. მაჩვენებელში არსებითი ცვლილება გამოწვეულია საოპერაციო ხარჯების ზრდით, რაც ქსელის განვითარების თანმდევი პროცესია.

ლიკვიდურობის კოეფიციენტმა (Current Ratio - მიმდინარე აქტივები/მიმდინარე ვალდებულებებთან) 2022 წელს შეადგინა 1.24 ხოლო 2021 წელს 0.71. აღნიშნული მაჩვენებელი გაუმჯობესებულია, რაც ძირითადად გამოწვეულია წინა პერიოდთან შედარებით მიმდინარე აქტივების ზრდით.

ინფორმაცია კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ (ერთეული ლარი):

| საქმიანობის შედეგები | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| **ნეტო ამონაგები** | **5,948,012** | **1,167,137** |
| საქონლის გაყიდვიდან | 5,931,533 | 1,165,863 |
| მომსახურების გაწევიდან | 16,479 | 1,274 |
| **გაყიდვების თვითღირებულება** | **(2,744,114)** | **(614,763)** |
| **საერთო მოგება** | **3,203,898** | **552,374** |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | (119,007) | (61,224) |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | (361,743) | (45,862) |
| საპროცენტო შემოსავალი | 252,177 | - |
| საპროცენტო ხარჯი | (744,255) | (52,547) |
| იჯარის ხარჯი | (1,007,836) | (64,295) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (1,999,104) | (515,291) |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **(3,979,768)** | **(739,219)** |
| **საოპერაციო მოგება** | **(775,870)** | **(186,845)** |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (34,166) | 52 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | (82,301) | (10,182) |
| **მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან** | **(892,337)** | **(196,975)** |
| **საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი** | **(892,337)** | **(196,975)** |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| **მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)** | **(892,337)** | **(196,975)** |

ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესახებ მოცემულია ქვემოთ (ერთეული ლარი):

| ფინანსური მდგომარეობა | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 1,722,970 | 65,161 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 159,750 | 14,500 |
| მარაგები | 850,475 | 85,875 |
| სხვა | 850,475 | 85,875 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | 151,223 | 175,764 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 409,114 | 25,749 |
| ძირითადი საშუალებები | 9,506,593 | 1,706,545 |
| **სულ აქტივები** | **12,800,125** | **2,073,594** |
| **ვალდებულებები** | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 2,193,843 | 458,317 |
| საგადასახადო ვალდებულებები | - | - |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 11,576,223 | 1,795,440 |
| სხვა ვალდებულებები | 124,373 | 21,815 |
| **სულ ვალდებულებები** | **13,894,439** | **2,275,572** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | |
| კაპიტალი | 312 | 312 |
| საემისიო შემოსავალი | - | - |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | (1,094,626) | (202,289) |
| გადაფასების რეზერვი | - | - |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | - | - |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **(1,094,314)** | **(201,977)** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | **12,800,125** | **2,073,594** |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | 2,884,418 | 341,300 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | 2,318,216 | 480,132 |

**კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა**
კომპანია აგრძელებს 2022 წლის განმავლობაში დანერგილი ქართული კომპანიის „ფინას“ მიერ წარმოებული პროდუქტის იმპლემენტაციასა და გაუმჯობესებას, რითაც ერთის მხრივ ხელს უწყობს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას, და მეორეს მხრივ კომპანიას აძლევს საშუალებას მომხმარებელს შესთავაზოს უნიკალური გამოცდილება რაც საბოლოო ჯამში კომპანიას უფრო ეფექტურად ფუნქციონირებაში უწყობს ხელს.

**ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ**
კომპანიას არ აქვს ფილიალები.

**საკუთარი აქციების გამოსყიდვა**
კომპანიას 2022 წლის განმავლობაში არ გამოუსყიდია საკუთარი აქციები და არც მიმდინარე ეტაპზე გეგმავს ამას.

**დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ**
კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს.

**ფინანსური, საოპერაციო და სტრატეგიული რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ**

- **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოიქმნება დებიტორულ დავალიანებაზე რაც ვენჯორჯიას გააჩნია კლიენტებისადმი. კომპანიის მომხმარებლებს, ნორმალური საოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოადგენენ ძირითადად საცალო მომხმარებლები და გარკვეულწილად კორპორატიული მომხმარებლები.

- **საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი გამომდინარეობს კვების ინდუსტრიის კაფე-რესტორნების კონკურენტული გარემოდან, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. კაფე-რესტორნების ბიზნესი გამოირჩევა მაღალი კონკურენციით. ბაზარზე წარმოდგენილია როგორც ბრენდული, ასევე არაბრენდული კვების ობიექტები. კონკურენცია მიმდინარეობს საფასო, მომსახურების ხარისხის და პროდუქციის ხარისხის სეგმენტში ბრენდულ ობიექტებთან მიმართებაში, ხოლო მომსახურების ხარისხით (ობიექტის ვიზუალი, ოპერატორის ურთიერთობა მომხმარებელთან, მაღალი ცნობადობა) სეგმენტში არაბრენდულ რესტორნებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანია გენერალური დირექტორის, მარკეტინგის დირექტორის, ფინანსური დირექტორის და ოპერაციების დირექტორის შემადგენლობით, მუდმივად განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, ახალ პროდუქტებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლითვის მისაღები და სასურველი იყოს ვენდისის პროდუქტების შეძენა.

- **ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა**

საბრუნავ კაპიტალში, მიმდინარე აქტივების სიდიდე მეტია მიმდინარე ვალდებულებების სიდიდეზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ძირითადად გამოწვეულია ფულადის სახსრების ნაშთით საბანკო ანგარიშებზე და მიღებული სესხების გრძელვადიანი სტრუქტურის გამო. კომპანია გეგმავს შეინარჩუნოს აღნიშნული მდგომარეობა 2023 წელს.

ფულადი სახსრების ნაკადები საოპერაციო ნაწილიდან (საპროცენტო ხარჯების გათვალისწინებით) 2022 წელს შეადგენდა 60,439 ლარს, და 2021 წლებში არის უარყოფითი და შეადგენდა (80,985) ლარს. დამატებით, კომპანიამ დაიწყო თავისი ფულადი სახსრების უფრო აქტიური მართვა, პროგნოზირება და დაგეგმვა, რაც მენეჯმენტის აზრით უფრო ეფექტურს გახდის ლიკვიდურობის კონტროლს.

- **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში არსებული საოპერაციო დეპარტამენტი მუდმივად ახორციელებს ვიზიტებს ობიექტებზე, პერიოდულად ხდება ობიექტების მენეჯერებთან შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება სასაქონლო მატერიალური მარაგების კონტროლი და მონიტორინგი, რაც ზრდის ოპერაციულ ეფექტურობას.
საოპერაციო საქმიანობის და რისკების მართვის ნაწილში კომპანია იღებს მხარდაჭერას, ნოუჰაუს, კონსულტაციებს ვენდის საერთაშორისო ოფისებიდან (Wendy's International), რომელთანაც გაფორმებულია ფრანჩაიზინგის კონტრაქტი.

- **საბაზრო და სავალუტო რისკები**

გარდა ზემოჩამოთვლილი რისკებისა, ორი მთავარი რისკი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის ოპერაციებზე არის სავალუტო და შესასყიდი ნედლეულის და მასალების ფასების ცვლილების რისკი (საბაზრო რისკი). სავალუტო რისკი გამომდინარეობს იქიდან, რომ კომპანიის მომწოდებლების ნაწილთან ანგარიშსწორება ხდება აშშ დოლარში, ხოლო შემოსავლების მიღება ხდება ლარში.

შესასყიდი მასალების თუ აღჭურვილობების შეძენა ხდება მნიშვნელოვანწილად იმპორტით, შესაბამისად ანგარიშსწორება არარეზიდენტ კონტრაგენტებთან ხდება ვალუტაში, ასევე აღსანიშნავია როიალტის ხარჯი, რომელზეც ასევე აისახება სავალუტო მერყეობა. გარდა ამისა, ადგილობრივი მომწოდებლების ნაწილი თავის მხრივ დამოკიდებულია იმპორტირებულ საქონელზე და შესაბამისად, ლარის გაუფასურება ახდენს გავლენას ადგილობრივი პროდუქციის შესასყიდ ფასებზეც. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მომწოდებლების გარკვეული ნაწილი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას აწვდის კომპანიას და ფასების ცვლილების რისკი შედარებით დაბალია. კომპანიის მიზანია, მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი წარმოების წილი პროდუქტებში, რათა სავალუტო რისკები იყოს დაზღვეული.

დირექტორი — გიორგი მშვილდაძე

ფინანსური დირექტორი — გივი გვეტაძე

შპს ვჯეო რესტორნები (405404076)
საქმიანობის შედეგის ანგარიში 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური პერიოდისთვის
თანხები მოცემულია ლარებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

| საქმიანობის შედეგები | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| **ნეტო ამონაგები** | **5,948,012** | **1,167,137** |
| საქონლის გაყიდვიდან | 5,931,533 | 1,165,863 |
| მომსახურების გაწევიდან | 16,479 | 1,274 |
| **გაყიდვების თვითღირებულება** | **(2,744,114)** | **(614,763)** |
| **საერთო მოგება** | **3,203,898** | **552,374** |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | (119,007) | (61,224) |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი | (361,743) | (45,862) |
| საპროცენტო შემოსავალი | 252,177 | - |
| საპროცენტო ხარჯი | (744,255) | (52,547) |
| იჯარის ხარჯი | (1,007,836) | (64,295) |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | (1,999,104) | (515,291) |
| **სულ საოპერაციო ხარჯები** | **(3,979,768)** | **(739,219)** |
| **საოპერაციო მოგება** | **(775,870)** | **(186,845)** |
| **გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:** | | |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან | (34,166) | 52 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) | (82,301) | (10,182) |
| **მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან** | **(892,337)** | **(196,975)** |
| **საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი** | **(892,337)** | **(196,975)** |
| **სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):** | | |
| **მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)** | **(892,337)** | **(196,975)** |

**დირექტორი: გიორგი მშვილდაძე**

**ფინანსური დირექტორი: გივი გვეტაძე**

შპს ვჯეო რესტორნები (405404076)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ლარებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული

| ფინანსური მდგომარეობა | შენიშვნა | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|---|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 1 | 1,722,970 | 65,161 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | | 159,750 | 14,500 |
| მარაგები | 2 | 850,475 | 85,875 |
| სხვა | | 850,475 | 85,875 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები | | 151,223 | 175,764 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | | 409,114 | 25,749 |
| ძირითადი საშუალებები | 3 | 9,506,593 | 1,706,545 |
| **სულ აქტივები** | | **12,800,125** | **2,073,594** |
| **ვალდებულებები** | | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | | 2,193,843 | 458,317 |
| საგადასახადო ვალდებულებები | | - | - |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 4 | 11,576,223 | 1,795,440 |
| სხვა ვალდებულებები | | 124,373 | 21,815 |
| **სულ ვალდებულებები** | | **13,894,439** | **2,275,572** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| კაპიტალი | | 312 | 312 |
| საემისიო შემოსავალი | | - | - |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | | - | - |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) | | (1,094,626) | (202,289) |
| გადაფასების რეზერვი | | - | - |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები | | - | - |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **(1,094,314)** | **(201,977)** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები** | | **12,800,125** | **2,073,594** |
| სულ მოკლევადიანი აქტივები | | 2,884,418 | 341,300 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები | | 2,318,216 | 480,132 |

დირექტორი: გიორგი მშვილდაძე

ფინანსური დირექტორი: გივი გვეტაძე

**შპს ვჯეო რესტორნები (405404076)**
**საქმიანობის შედეგის ანგარიში 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური პერიოდისთვის**
**თანხები მოცემულია ლარებში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული**

| ფულადი სახსრების მოძრაობა | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 60,439 | (80,985) |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | (8,183,413) | (1,611,765) |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 9,780,783 | 1,757,646 |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) | 1,657,809 | 64,896 |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | - | - |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში | 65,161 | 265 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს | 1,722,970 | 65,161 |

**დირექტორი: გიორგი მშვილდაძე**

**ფინანსური დირექტორი: გივი გვეტაძე**

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 1

| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში | 41,912 | 3,573 |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში | 1,647,810 | 59,355 |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში - USD | 33,248 | 2,233 |
| **სულ** | **1,722,970** | **65,161** |

შენიშვნა 2

| მარაგები | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| საქონელი | 239,887 | 43,329 |
| მცირეფასიანი მატერიალური ფასეულობები და სახარჯი მასალები | 610,588 | 42,546 |
| **სულ** | **850,475** | **85,875** |

შენიშვნა 3

| ძირითადი საშუალებები | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| მიწის ნაკვეთები | 1,057,990 | 1,057,990 |
| იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | 5,400,300 | 291,997 |
| აღჭურვილობა, დანადგარები და ავეჯი | 3,048,303 | 356,557 |
| **სულ** | **9,506,593** | **1,706,545** |

შენიშვნა 4

| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები | 31/12/2022 | 31/12/2021 |
|---|---|---|
| საბანკო სესხები | 9,999,473 | 1,530,940 |
| სესხი დაკავშირებული მხარისგან | 1,576,750 | 264,500 |
| **სულ** | **11,576,223** | **1,795,440** |

დირექტორი: გიორგი მშვილდაძე

ფინანსური დირექტორი: გივი გვეტაძე